

წარმოადგინონ თავიანთი  
ინტერესები, გაარკვიონ  
გაუგებრობები, განსაზღვრონ  
პრობლემური საკითხები და  
მივიდნენ საერთო შეთანხმებამდე.

## რა შემთხვევებში მივმართავთ მედიაციას?

- როდესაც მოლაპარაკების შედეგად გვჭირდება გადაწყვეტილების მიღება;
- არ არის სასამართლო ჩარევის აუცილებლობა;
- მხარეებს არ უნდათ პრობლემის საჯაროდ გამჟღავნება;
- მხარეების ურთიერთობას ხელს უშლის დაძაბულობა და ემოციები;
- შეზღუდულები ვართ დროსა და რესურსებში;
- მხარეებს სურთ მომავალში გააგრძელონ ურთიერთობა.

მედიაციასთან დაკავშირებული  
კონკრეტული რჩევებისთვის გთხოვთ,  
მოგვმართოთ



### საკონტაქტო ინფორმაცია

CARE საერთაშორისო კავკასიაში  
"საზოგადოებრივი ინგესტირების  
პროგრამა - დასავლეთი"  
თბილისი, 0162  
ი.ჭავჭავაძის გამზ. 74ა,  
ტელ.: (995 32)29 19 41; 29 15 31;  
29 13 78  
ფაქსი (995 32)29 43 07

კონფლიქტებისა და  
მოლაპარაკებების საერთაშორისო  
ცენტრი  
ივ.მაჩაბლის ქ. №5, 0105,  
ტელ.: (995 32)99 99 87  
ფაქსი (995 32)93 91 78  
ვებ-გვერდი: [www.iccn.ge](http://www.iccn.ge)

მედიაცია  
საზოგადო განვითარების  
პროცესში



კონფლიქტებისა და  
მოლაპარაკებების საერთაშორისო  
ცენტრი

დოკუმენტი მომზადებულია ბაქო-თბილისი-ჯეიპანის  
ნაკორბადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის  
კომპანიების გრანტით. მასში ასახული  
შეხედულებები ეკუთვნის "ქას" და შესაბამისად, არ  
არის ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნაკორბადენის ან  
სამხრეთ კავკასიის გაზსადენის კომპანიების  
ოფიციალური შეხედულებების ამსახველი.

## რა არის მედიაცია?

მედიაცია ინგლისური სიტყვაა (Mediation) და ქართულად შუამავლობას ნიშნავს.

მედიაცია კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი ფორმაა, როდესაც დაპირისპირებული მხარეები ცდილობენ კონფლიქტის მოგვარებას მესამე ნეიტრალური მხარის, შუამავალის, მედიატორის დახმარებით.

რითი განსხვავდება მედიაცია კონფლიქტის მოგვარების სხვა ფორმებისაგან?

სასამართლო და მედიაციის პროცესის შედარება:

- სასამართლოსაგან განსხვავებით, მედიაციის დროს გადაწყვეტილებას იღებს არა მოსამართლე, არამედ კონფლიქტში ჩაბმული მხარეები.
- სასამართლო გადაწყვეტილება სავალდებულოა, ხოლო მედიაციის შემთხვევაში შეთანხმების შესრულება თვითონ მხარეებს ეკისრებათ.

- სასამართლოს ამოცანაა გაარკვიოს მყტუან-მართალი, ხოლო მედიაციის ამოცანაა თანხმობის მიღწევა.
- განსხვავებით სასამართლოსაგან, მედიაციის შეწყვეტა ნებისმიერ დროს შეიძლება.

## რამდენად ეფექტურია მედიაცია კონფლიქტების მოგვარებაში?

მედიაციის პროცესების დიდი უმეტესობა შეთანხმებით მთავრდება.

მედიაცია ეფექტურია მეზობლებთან, ოჯახში, თემთან და ხვადასხვა სახის ორგანიზაციული კონფლიქტების მოგვარებისათვის.

სხვადასხვა ტიპის კონფლიქტები მეტ-ნაკლები წარმატებით ექვემდებარება მედიაციის პროცესს, თუმცა გადაწყვეტილებას, ჩაერთოს თუ არა მედიაციის პროცესში, თვითონ მედიატორი იღებს.

## რა ხდება მედიაციის პროცესის დროს?

- თითოეულ მხარეს შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი აზრი და გაარკვიოს

- მტკიცნეული საკითხები.
- შუამავალი აადვილებს დიალოგს მხარეებს შორის, იმისათვის, რომ მათ შეძლონ ერთმანეთის გაგება;
- ზოგ შემთხვევაში შუამავალს შეუძლია ცალ-ცალკე შეხვდეს მხარეებს. ამ დროს მხარეებს შეუძლიათ მედიატორს გაუზიარონ თავისი აზრები და გეგმები ისე, რომ ამის შესახებ არ გაიგოს მეორე მხარემ;
- მხარეები ცდილობენ შეიმუშავონ პრობლემების გადაჭრის გზები და საბოლოო ჯამში, მიიღონ ურთიერთმისალები გადაწყვეტილება.

## ვინ არის მედიატორი?

მედიატორი ნეიტრალური და მიუკერძოებელი პირია, რომელსაც მედიაციის გაძლიერების კვალიფიკაცია და ტექნიკა აქვს. მედიატორი უზრუნველყოფს პროცესში თანამშრომლობის, თანასწორობის, პატივისცემისა და ნდობის ატმოსფეროს შექმნას.

მედიატორი ეხმარება მხარეებს